საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ჟუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

დიზაინის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

მოდის დიზაინი

პროგრამის ხელმძღვანელი : ნინო მგალობლიშვილი, კულტურის კვლევების დოქტორი, პროფესორი,
მოდის დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელი

დამტკიცებულია თსსა დიზაინის საბჭოს მიერ
2023 წლის 5აპრილის სხდომის ოქმი № 5
თსსა აკადემიურისაბჭოს
2023 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი №23

პროგრამის სახელწოდება : მოდის დიზაინი /Fashion Design

განათლების საფეხური : უმაღლესი განათლების მეორე საფეხური/მაგისტრატურა (7)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ხელოვნების მაგისტრი მოდის დიზაინში/ Master of Fine Arts in Fashion design /MFA

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :
ბაკალავრის ხარისხი, პორტფოლიო, გასაუბრება, გამოცდა უცხო ენაში (დონე B2).
პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის თსსა ვებგვერდის მეშვეობით www.art.edu.ge. მოქმედებს ცხელი ხაზი /თსსა ვებ გვერდზე https://drive.google.com/file/d/14s8V8Pe_kHNyr9r7JjhgApk6i0kfybwy/view
უწყვეტად აქტიურია ,,მოდის დიზაინის'' მიმართულების გვერდი - TSAA/Fashion Design Portal თსსა/მოდის დიზაინის პორტალი
https://www.facebook.com/profile.php?id=100063508359138

პროგრამაზე დაშვების აუცილებელი მოთხოვნა :
1. საბაზისო კონსტრუირების ცოდნა (დამადასტურებელი - პორტფოლიო, არსებობის შემთხვევაში სერთიფიკატები)
2. ინტერვიუ (ზოგადი წარმოდგენა მოდის დიზაინის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ)
3. შემოქმედებითი პორტფოლიო (მოდის ილუსტრაცია, თავისუფალი კომპოზიციის განვითარების ეტაპები, დანართი სურვილის მიხედვით)

სწავლების ენა : ქართული
სწავლის ხანგრძლივობა : 2 წელი (4
სემესტრი)პროგრამის მოცულობა - 120
კრედიტი (ECTS)
- სპეციალობის დისწიპლინები - 80 კრედიტი
- საუნივერსიტეტო - 12 კრედიტი
- არჩევითი დისციპლინები - 28 კრედიტი

მათ შორის არის, სპეცილობის საავტორო დისციპლინები - სტუდენტს ეძლევა საშულება აირჩიოს სპეციალობის არჩევითი საგანი, რომელსაც უხელმძღვანელებს აკადემიური პერსონალი და სპეციალურად მოწვეული, მოდის სფეროში აქტიური პრაქტიკოსები (კერძო და სახელმწიფო სექტორიდან, შემოქმედებითი და ბიზნეს სფეროდან)

* 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.
* ერთი აკადემიური წელი - 2 სემესტრი (სულ - 60 ECTS) *
სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან/და მეტი, არა უმეტეს 75 კრედიტისა
* 1 სემესტრი მოიცავს - სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს, მათ შორის, 15 სასწავლო კვირა, სასესიო კვირა - 16, 17, 18
* 1 სემესტრის განმავლობაში -1(ერთი) შუალედური გამოცდა
* სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ - 1(ერთი) დასკვნითი გამოცდა
* დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილია - 2 კვირა და დამატებით გამოცდისათვის 1 კვირა

პროგრამის ანოტაცია (პრეამბულა)

ბოლო ათწლეულებში განვითარებულ ქვეყნებში დიზაინი სოციალურ-კულტურულ მოვლენად იქცა და ერთ-ერთ ყველაზე განვითარებად პროფესიას წარმოადგენს. XX საუკუნის 2-ე ნახევრიდან ამერიკული ინდუსტრიის ნიადაგზე ევროპიდან იმპორტირებული დიზაინი XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე იქცა პროფესიული საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობად. მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა საგრძნობლად შეიცვალა. მისი მთავარი ფიგურა გახდა დიზაინერ-კომერსანტი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოდის დიზაინი, როგორც ზოგადად დიზაინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, ვაჭრობისას ძლიერ ინსტრუმენტად გადაიქცა და, შესაბამისად, მოთხოვნადია ინდუსტრიაში. არსით პარადოქსალური, იგი არ წარმოებს მზა ფორმულებს და არ იძლევა განსაზღვრულ ცოდნას. მისი ამოცანაა : ძიების პროვოცირება, ინტელექტუალური თანამონაწილეობა, ახალი გამოცდილება. დღეს მოდის დიზაინი დიზაინ-საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც შემოქმედებასა და ბიზნესის დონემდეა ამაღლებული. იგი მოიცავს შემოქმედებით და რაციონალურ დიზაინს - ექსკლუზიური და მასობრივი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარი, ქსოვილის ტექნოლოგიები, კონცეპტუალური/შემოქმედებითი კოსტიუმი და სხვ. დღეს საერთაშორისო კომპანიები არიან მუდმივ ძიებაში ინტერდისციპლინარული უნარების მქონე პროფესიონალებისა.

ყოველწლიურად იზრდება ინდუსტრიის ინტერესი მოდის დიზაინის ფართო სპექტრის სპეციალისტების მიმართ, რადგან ინდუსტრიაში მილიარდობით დოლარია მიზიდული, ხოლო, ათეული მაღალი მოდის (Haute couture) წარმომადგენლების ნაცვლად, ასობით ათასი სხვადასხვა შემოქმედებითი პროფესიის სპეციალისტები მუშაობენ , აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულად აქტუალურია, რომ, პროფესიონალური მომზადების მიზნები და შინაარსი იცვლებოდეს დროის მოთხოვნების შესაბამისად - ქართული დიზაინერული განათლების შემდგომი განვითარებისა და დიზაინერის ახალი ტიპის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ახალი სასწავლო პროგრამების ამუშავება საერთაშორისო დიზაინ-განათლების გამოცდილების გათვალისწინებით.

პროგრამის აღწერა

სამაგისტრო პროგრამა შემუშავდა მოდის დიზაინის სისტემის ევოლუციის მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც დღეს ძიებაშია ინტერდისციპლინარული უნარების მქონე პროფესიონალებისა. იგი ითვალისწინებს საერთაშორისო დიზაინერულ განათლებაში არსებულ გამოცდილებასა და ამ მიმართულებით მიმდინარე ცვლილებებს. პროგრამა ორიენტირებულია ისეთი პროფესინალების მომზადებაზე, რომლებსაც დიზაინ-სტრატეგიების შექმნა და მათი მართვა შეუძლიათ, მზად არიან საქმეში წარმოაჩინონ საკუთარი შემოქმედება და ეფექტურად მართონ პროექტი ფორმულის „იდეა, წარმოება, ბაზარი“ მიხედვით . პროგრამის აგების პრინციპები ეფუძნება სტუდენტთა რეალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს, თვითრეალიზაციისა და წარმატების თავისუფლებას; სწავლების კავშირს პროფესიული საქმიანობის პრაქტიკასთან. არ არსებობს ხისტი, დეტალურად გაწერილი შემბოჭველი პროექტები - არის იმპროვიზაციის შესაძლებლობა. გათვალისწინებულია სწავლის დადებითი ემოციური ფონის შექმნა, თანამშრომლობა სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის და ა.შ.

სამაგისტრო პროგრამის სპეციალური დისციპლინათა ციკლი და ძირითადი მიმართულებები (ქალისა და მამაკაცის საკოლექციო ხაზზე მუშაობა , კონცეპტუალური/ შემოქმედებითი საკოლექციო ხაზი, კონსტრუირება/მასალში შესრულება, სამკერვალო ტექნოლოგიები, ეკო ტექსტილური ტექნოლოგიები, ციფრული ტექნოლოგიები, საბაზრო ურთიერთობები, მარკეტინგი და სხვ.) არ იმეორებს ბაკალავრიატის პროგრამას. მაგისტრატურის სასწავლო პროგრამა მეტად გაფართოვებული და გაღრმავებულია. სასწავლო დისციპლინათა შერჩევის სისტემურობა ხელს უწყობს სამეცნიერო ინსტრუმენტარიუმისა და პროგრესული სამეცნიერო ცოდნის უფრო ფართოდ და უფრო დამოუკიდებლად დაუფლებას. პროგრამა სთავაზობს მაგისტრანტებს დარგის პროფესიონალებთან მჭიდრო საქმიან თანამშრომლობას, დიზაინერული ინოვაციური მიდგომების სწავლებისას კოსტიუმის პროექტირების დარგში ახალი მიმართულებებისა და ტექნოლოგიების ათვისებას, საბაზრო ურთიერთობების კანონზომიერების მეტად ღრმად შესწავლას.

სამაგისტრო პროგრამა მიმართულია მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიანი პროფესიონალების ფორმირებაზე, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი კოლექციის დამოუკიდებლად შემუშავება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით და, შემდგომ, პრეზენტირება, შეუძლიათ ღირსეულად შეხვდნენ მოდის სამყაროს ახალ გამოწვევებს (ციფრული მოდა, მდგრადი მოდა, კომერციული ან/და შემოქმედებითი მოდა, მოდა ნარჩენების გარეშე, ეკოლოგიისა და ბუნების დაცვა და სხვ.)

შენიშვნა : საჭიროების შემთხვევაში პროგრამა უზრუნველყოფს ონლაინ ან/და გიბრიდულ სწავლებას

პროგრამის მიზნები :

მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება, სწავლების ინდივიდუალიზაცია, მოდის დიზაინის მიმართულების ბაკალავრიატის ხარისხით მიღებული ცოდნის უფრო ფართოდ/სიღრმისეული განვითარება, ან/და მიღებული ცოდნის განსხვავებული ინტერპრეტაცია მის ყველა ასპექტში (შემოქმედებითი, კულტურული, მარკეტინგული, კომუნიკაციური, ა.შ.) ინტეგრირებული მიდგომის საფუძველზე, კერძოდ :

* **შემეცნებითი კომპეტენცია** - თვითშემეცნების დაუფლების უნარის გაღრმავება ;
* **შემოქმედებით კომპეტენცია** - კოსტიუმის დიზაინში ფორმათაწარმოქმნის კანონზომიერების სიღრმისეული და მრავალმხრივი შესწავლა მასობრივ მომხმარებელისა და ავანგარდული მიმართულების კონტექსტში, მასობრივ მომხმარებელზე ორენტირებული ავანგარდული მოდის ფორმათა მრავალსახეობის გაცნობა/ათვისება ;
* **მოდისა და ბიზნესის გადაკვეთა** - მომზადება კონკურენციისთვის შრომის ბაზარზე და პროფესიაში ;
* **ორგანიზაციული კომპეტენცია** - პროდუქტის წარმოებისთვის დამოუკიდებლად საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მართვა, საკუთარი და ერთობლივი საქმიანობის კონტროლისა და შეფასების უნარ-ჩვევების ფლობა პროექტის განხორციელების პროცესში) ;
* **საინფორმაციო კომპეტენცია** - ინფორმაციის სხვადასხვა წყაროსთან მუშაობის, პროდუქტის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის დამოუკიდებლად არჩევისა და ანალიზის უნარის გაღრმავება ;
* **კომუნიკაციური კომპეტენცია** - საკუთარი თავისა და საქმიანობის პრეზენტირების გზების ფლობა, საქმიანი ინფორმაციის გადაცემის უნარი;
* **სოციოკულტურული კომპეტენცია** - გარემოსა და ბუნების ნორმების დაცვის, გუნდში მუშაობის უნარების გაძლიერება ;
* **დიზაინ-აზროვნების ძირითადი კომპეტენციები** - ემპათიის, აზროვნების ფართო მასშტაბის, ჰოლისტური აზროვნების უნარ-ჩვევების, ვიზუალური ხედვისა და ექსპერიმენტული მიდგომების გაძლიერება ;
* **ტრადიციულის გარდა ევრისტიკული მიდგომების პრაქტიკაში გააქტიურება** - მოდის დიზაინში საკუთარი სტილის მოძიების უნარის გაძლიერება

სწავლების ძირითადი ფორმები :

- ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული, პრაქტიკული, დამოუკიდებელი;
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
- საპროექტო სწავლება;
- პრობლემური სწავლება;
- სამაგისტრო ნაშრომი (დიზაინერული პროექტი);
- კონსულტაცია

სწავლის შედეგები :

- **ცოდნა / გაცნობიერება**

1. დიზაინერულ პროექტირებაში თანამედროვე მოდის ტენდენციების გათვალისწინებით, ევრისტიკული მეთოდების (კომბინატორიკა, კონცეპტუალური, დესტრუქციული და სხვ.) გამოყენებით ახდენს თეორიულ საფუძვლებზე დამყარებულ ფართო ცოდნის დემონსტრირებას
2. იცის ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენება (სამკერვალო, ტექსტილური, ქსოვადი/ უქსოვადი მასალებისა და სხვ.);
3. აცნობიერებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურობასა და მნიშვნელობას დარგის მდგრადი განვითარებისათვის, იცის დიზანერული

ნამუშვრის წარმოება ციფრული პროგრამების გამოყენებით (CLO | 3D Fashion Design Software, Adobe Photoshop, Adobe Illustrator და სხვა);
4. იცის მასობრივ მომხმარებელზე ორიენტირებული და კონცეპტუალური/შემოქმედებითი საკოლექციო ხაზის დამოუკიდებლად ორგანიზება/შექმნა, შეუძლია ბიზნეს ტექნოლოგიების გამოყენებით ბაზარზე საკუთარი პროდუქციის ეფექტურად მიწოდება და რეალიზება

- **უნარი**

5. აქვს გამომუშავებული ჰოლისტური აზროვნების უნარ-ჩვევები : მხატვრული ობიექტის შემადგენელ ნაწილებად დაყოფა, თითოეულის შესახებ სხვადასხვა ცოდნის მოძიება, ნაწილების ურთიერთთან და მთლიან სტრუქტურასთან დამოკიდებულების განსაზღვრა; აზროვნების ფორმათა მრავალსახეობის აღიარება და ა.შ.
6. შემოქმედებითი მიდგომით, დიზაინ-მეთოდების (ტრადიციული, ევრისტიკული, კომპლექსური) გამოყენებით, იდეების გენერირების სტიმულირებით დამოუკიდებლად ანვითარებს დიზაინერულ პროექტებს, მათ შორის, აანალიზებს, ახდენს კლასიფიკაციას და განსაზღვრავს მასალების ტექნიკურ /ესთეტიკურ /საექსპლუატაციო თვისებებს;
7. საკუთარი ცოდნის, უნარისა და გამოცდილების წარსადგენად ჩვევების კომბინირება - ახალი ამოცანის, მოთხოვნის შესასრულებლად სტუდენტი ახდენს მიზნობრივი პორტფოლიოს ორგანიზებას (ციფრული, ბეჭდური, ხელით ნაკეთი) და საკუთარი საქმიანობის დასაბუთებისათვის წარუდგენს მიზნობრივ აუდიტორიას (დასაქმების ორგანიზაციები, კონკურსები, საგანმანათლებლო სივრცეები და სხვ.)
8. სასწავლო ან/და საპროექტო საქმიანობის პროცესში არაპროგნოზირებადი სიტუაციის შექმნისას, შეუძლია მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება

- **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

9. სწავლების პროცესში დიზაინერულ პროექტზე მუშაობისას პასუხისმგებლობის, ავტონომიურობის და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით გამოყენება ;
10. შეუძლია საკუთარი და სხვების პროფესიული განვითარების ჩვევების შეფასება, საჭიროებების შესაბამისად შემდგომი საკუთარი სწავლისა და პროფესიული მიმართულებების განსაზღვრა, ორგანიზება და განხორციელება ;
11. შეუძლია საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის დამოუკიდებლად წარმართოს/ მართოს სწავლისა და პროფესიულად განვითრების პროცესი

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

თეორია-პრაქტიკა, კომპლექსური (სასწავლო-შემოქმედებითი, გუნდური, ინდ. პროექტები), პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დისკუსია/დებატები, ინდივიდუალური მიდგომა, ჯგუფური (collaborative) მუშაობა,ლაბორატორიული და დამოუკიდებელი მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, სინთეზის მეთოდი, ანალიზის მეთოდი, გონებრივი იერიში (Brain storming), ევრისტიკული მეთოდები.
მეთოდური პროცესი პირობითად ოთხ ძირითად ეტაპად იყოფა : ინფორმაციული ; ანალიტიკური-კვლევითი ნაწილი; სინთეტური; ; კომუნიკაციური - პრაქტიკული ნაწილი

დასაქმების სფეროები :

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,მოდის დიზაინი'' კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს იმუშაოს სფეროს მიმართულებით ნებისმიერ შემოქმედებით გარემოში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მოდის სახლში, მცირე და მასშტაბური საწარმოში, ინდივიდუალურ ან/და სავაჭრო სივრცეებისთვის, კერძო დაკვეთაზე, ასევე, დასაქმდეს საჯარო და კერძო სახელოვნებო ორგანიზაციებში, მათ შორის, სტილისტებად მედიისა და სარეკლმო კომპანიებში, ციფრულ ან/და ბეჭდვით გამომცემლობებში, მოდის ილუსტრატორებად, სავაჭრო ცენტრებში ვიზუალურ მერჩენდაიზერებად (მაღაზიის ფანჯრის დაპროექტება)

შეუძლიათ მოდის დიზაინის სფეროს სხვადასხვა მიმართულებით ჩაატარონ სტუდიური სამუშაო, ვორქშოფი, მასტერკლასი დამწყები დიზაინერებისათვის, დიზაინით დაინტერესებული აუდიტორისაათვის, აბიტურიენტებისათვის (თარგის დაპროექტება/მასალაში შესრულება, ქსოვილის ტექნოლოგიები, ლექციები თანამედროვე ტექნდენციების შესახებ და ა. შ.)

სემეტრების მიხედვით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა :

პროგრამის სტრუქტურა	**I**	**II**	**III**	**IV**	**EGTS**
სპეციალობის დისციპლინები	20	20	20	20	80
არჩევითი დისციპლინები/სპეცილობის არჩევითი დისციპლინები	10	10	8		28
საუნივერსიტეტო დისციპლინები	6	6			12
სულ	**36**	**36**	**28**	**20**	**120**

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა (შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში) : სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება, სემესტრის განმავლობაში ითვალისწინებს 2 გამოცდას :

* შუალედური შეფასება - 40 ქულა (მაქსიმალური)

* დასკვნითი შეფასება - 60 ქულა (მაქსიმალური)

სასწავლო კომპონენტის შეფასების საერთო ქულა - 100 ქულა (მაქსიმალური)

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმა :

შეფასების მეთოდებად გამოყენებულია განვითრების დინამიკის მაჩვენებელი ინსტრუმენტი - პორტფოლიო, ექსპოზიცია, პრეზენტაცია, გამოფენა/შოუ, ინტერვიუ, რეფერატი და სხვ.

შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს : ვალიდურობას ; სანდოობას ; გამჭვირვალობას ; სამართლიანობას ; ობიექტურობას

სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა :

ქულები	შეფასება		შეფასების კვალიფიკაცია
91% - 100%	A	ფრიადი	დადებითი
81% - 90%	B	ძალიან კარგი	დადებითი
71% - 80%	C	კარგი	დადებითი
61% -70%	D	დამკმაყოფილებელი	დადებითი
51% - 60%	E	საკმარისი	დადებითი
41% - 50 %	FX	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)	უარყოფითი
0% - 40%	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი, საგანი თავიდან უნდა გაიროს)	უარყოფითი

მოდის დიზაინის სამაგისტრო ნაშრომის საკვალიფიკაციო დახსიათება და ნაშრომის დაცვის წესი :

მოდის დიზაინის მიმართულების სამაგისტრო ნაშრომი - სასწავლო პროცესის განმავლობაში (I სემესტრიდან IV სემესტრის ჩათვლით) სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა-გამოცდილებისა და ათვისებული უნარ-ჩვევების შემაჯამებელი კომპლექსური პრეზენტაცია)

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს - 20 კრედიტი (ECTS)

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება განისაზღვრება - 100 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის პარამეტრები :

- სტუდენტის მიერ წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა - არ უნდა იყოს 10 კოსტიუმზე (ანსამბლი) ნაკლები
- შესაძლებელია ორმა სტუდენტმა (ჯგუფური მუშაობის პრინციპით) წარმოადგინოს საერთო სამაგისტრო ნაშრომის თემა, რომლის მოცულობა 16 კოსტიუმზე (ანსამბლი) ნაკლებს არ უნდა მოიცავდეს (საერთო თემის და საკოლექციო ხაზის გათვალისწინებით თითოეული სტუდენტი ამუშვებს კოსტიუმის 8 (რვა) ერთეულს
- სტუდენტმა უნდა წარადგინოს პორტფოლიო
- სტუდენტმა უნდა წარადგინოს რეფერატი (ფოტომასალის გარეშე, 15-20 გვ.)/ პრეზენტაცია 15/20 წთ.)

პორტფოლიოს სტრუქტურა :

1. სამაგისტრო ნაშრომის თემა - ინდუსტრიული ან/და შემოქმედებითი საკოლექციო ხაზის (*სტუდენტის მიერ შერჩეული თემის მიხედვით*) მოკლე ანოტაცია
2. შემოქმედებითი პორტფოლიო (მოდის ილუსტრაციები, ფოტო, კოლაჟი, განწყობის გვერდი, მხატვრული ანალიზი და სხვ.)
3. ტექნიკური პორტფოლიო (კოსტიუმის უტილიტარული მხარე - ტექნიკური ნახატი/ნახაზი, გამოყენებული ტექნოლოგიებისა და მასალის აღწერა, პროდუქციის გათვალისწინებით მიზნობრივი აუდიტორიის აღწერა)
4. ლუქბუქი (საკოლექცო ხაზის ციფრული ვერსია)
5. ციფრული პრეზენტაცია
6. შესაძლებელია სხვ. თანდართული მასალა (შემოქმედებითი ნაწილი, დარგის მიმართულებით აქტივობების ამსახველი დოკუმენტირებული მასალა და სხვ.)

რეფერატის სტრუქტურა :

წერითი/ბეჭდური ხასიათის კვლევითი პროექტი, სადაც წარმოდგენილი იქნება კვლევის ინტერესის სფერო

1. რეფერატის მოცულობა - A4
2. ტექსტის შრიფტი - Sylfaen
3. შრიფტის ზომა - 11
4. სათაურების და ქვესათაურების შრიფტის ზომა – 12-14
5. სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5 (გვერდის ველები ყველა მხრიდან 2 სმ).

ნაშრომი აკინძული შემდეგი თანმიმდევრობით :

1. თავფურცელი (ნაშრომის პირველი გვერდი) : უსდ-ს ლოგო და დასახელება, რეფერატის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, თარიღი, სხვ.საჭირო ინფორმაცია ;
2. სარჩევი
3. შესავალი - ნაშრომის ზოგადი ნაწილი (დამუშავებული თემის აქტუალობა, დასაბუთება, დასმული ამოცანა, გამოყენებული მეთოდები და სხვ.)
4. ტექსტის ძირითადი ნაწილი - შეიძლება დაიყოს თავებად და პარაგრაფად ;
5. დასკვნა - ნაშრომის შედეგები გაფორმებული მაგალითებით (ნახაზი, ფოტომასლა და სხვ.) ;
6. ბიბლიოგრაფია - ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით (გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ - უცხოურ ენებზე), ავტორის/ავტორების სახელი/გვარი, სახელწოდება, დანართის სახით სხვ.საჭირო ინფორმაცია) ;
7. ინტერნეტ წყაროები : მასალის ავტორი/ლინკი, ვებ-გვერდის ავტორი/ლინკი

სამაგისტრო ნაშრომის თემის წარდგენა ხდება 3 ეტაპად :

1. თემის არჩევა/დამტკიცება
2. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა (შეფასება)
3. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო პრეზენტაცია (თავისუფალი არჩევანი - შოუ, ინსტალაცია, შოურუმი, გამოფენა-ექსპოზიცა და სხვ.

ხელმძღვანელის დანიშვნის წესი :

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი
2. შესაძლებელია სტუდენტს ჰყავდეს თანახელმძღვანელი
3. პროგრამის ხელმძღვანელი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ფაკულტეტის საბჭოზე დასამატკიცებლად წარადგენს - სასწავლო წლის VI სემესტრის დასასრულს

შენიშვნა : აუცილებელია სტუდენტს ჰყავდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა და წარდგენა :

1. სამაგისტრო ნაშრომის თემას სტუდენტი ხელმძღვანელთან ერთად წარადგენს სასწავლო წლის მე - 4 სემესტრის დასაწყისში
2. წარმოდგენილ თემას განიხილავს და ამტკიცებს მოდის დიზაინის მიმართულების წამყვანი პედაგოგები
3. საბოლოო დაცვისა და საჯარო პრეზენტაციის თარიღს განსაზღვრავს დიზაინის ფაკულტეტის საბჭო მე - 4 სემესტრის დასწყისში

საკვალიფიკაციო კომისიის ფორმირების წესი :

სამაგისტრო ნაშრომს აფასებს კომისია, რომლის შემადგენლობაში 8 წევრია - ფაკულტეტის დეკანი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, მოწვეული დარგის პრაქტიკოსები, მათ შორის : ბაზარზე აქტიური ცნობილი დიზაინერები, სფეროს ბიზნეს სექტორისა და სფეროდან მედიის წარმომადგენლები

1. კომისიას ჰყავს თავჯდომარე (ფაკულტეტის დეკანი)
2. კომისიის შემდგენლობაშია სპეციალურად მოწვეული დარგის პრაქტიკოსები - 6
3. კომისიის შემადგენლობას ადგენს ფაკულტეტის საბჭო სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე არაუგვიანეს 2 (ორი) კვირისა

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა - 2 (ორი) ეტაპი :

I ეტაპი - სამაგისტრო ნაშრომის შესაფასებლად წარდგენა (IV სემესტრის ბოლოს ფასდება ნაშრომი)

სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები :

1. სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით რეფერატი (ფოტომასალის გარეშე, 20/25 გვ./ პრეზენტაცია 15/20 წთ.)
2. პორტფოლიო (სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის მიხედვით ინფორმაციული, ტექნიკურ - ტექნოლოგიური, მხატვრულ-შემოქმედებით ფორმატში შექმნილი საინფორმაციო ციფრული და ბეჭდური ჟურნალი)

3. ნაშრომის ხელმძღვნელი მოხსენებით გამოდის (განიხლავს სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომს)
4. სამაგისტრო ნაშრომის რეფერატს წარადგენს/განიხილავს სპეციალურად მოწვეული რეცენზენტი

II ეტაპი - სამაგისტრო ნაშრომის საჯარო პრეზენტაცია (საპრეზენტაციო ფორმატის თავისუფალი არჩევანი - ჩვენება/შოუ, ვიდეო არტი, შოურუმი, ინსტალაცია, პერფომანსი და ა.შ.)

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები :

	სამაგისტრო ნაშრომი	**ქულა**	**ECTS**
1	სამაგისტრო ნაშრომში (საკოლექციო ხაზი) - შემოქმედებითი, კვლევითი და ექსპერიმენტული ძიებებით მიღებული შედეგი	25	20
2	სამაგისტრო ნაშრომში (საკოლექციო ხაზი) - ტექნიკურ/ტექნოლოგიური მეთოდების ვერსიები, კონსტრუქციული ფორმების ინეტრპრეტაცია, სიახლის ძიება, პრაქტიკული უნარები	25	
3	პორტფოლიოს ორგანიზება/პრეზენტაცია - იდეის ძიება/არგუმენტირებული დასაბუთება, ანალიტიკური აზროვნება და მხატვრულ-შემოქმედებითი უნარები, ილუსტრაციების მრავალფეროვნება (ტექნიკური ვერსიები), ლუქბუქი	25	
4	რეფერატი	25	

სასწავლო წლის II სემესტრის ბოლოს გათვალისწინებულია პრაქტიკა :
პრაქტიკა საშუალებას აძლევს სტუდენტს სასწავლო კურსის/კურსების გავლისას შეძენილი თეორიული/პრაქტიკული ცოდნა გააღრმაოს და შეიძინოს კონკრეტული პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პრაქტიკის წინასწარ განსაზღვრული შედეგები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან.
პრაქტიკის ფორმა :
საწარმოო პრაქტიკა - საწარმოო ფაბრიკა, მოდის სახლი

პრაქტიკისა და პრაქტიკის ანგარიშის შეფასება :
1. პრაქტიკის პროცესში შესასრულებელი სამუშაოს შეფასება (შესრულებელი სამუშაოს ხარისხი, ახალი უნარების გამომუშავება/განვითარება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დასმული ამოცანის გადაჭრა) - 40 ქულა
2. შემოქმედებითი მიდგომა და ინიციატივა შესასრულებელი სამუშაოს მიმართ - 20 ქულა
3. პრაქტიკის ანგარიშის შესრულება - 20 ქულა
4. პრაქტიკის ფარგლებში პორტფოლიო/ანგარიში - 20 ქულა

- **პროგრამის სასწავლო გეგმა**

საგნების დასახელება	ECTS / სთ	ლექცია (კვირა)	სთ/ლექცია	საკონტაქტო	არასაკონტაქტო	ლექცია-პრაქტიკუმი	შუალედური შეფასება (ეზი)/სთ	დასკვნითი გამოცდა/სთ	სამაგისტრო ნაშრომი/სთ
სპეციალობის დისციპლინები									
სამაგისტრო პროექტი ,,ნაქსოვი ტანსაცმლის დიზაინი'' (თეორია-პრაქტიკა)	3/75	15	4	64	11	60	2	2	
ქსოვის ტექნოლოგიები / ექსპერიმენტული ქსოვა	3/75	15	4	64	11	60	2	2	
სამაგისტრო პროექტი ,,უქსოვადი მასალის ტანსაცმლის დიზაინი''	3/75	15	4	64	11	60	2	2	
სპეც. აქსესუარების დიზაინ-პროექტირება/უქსოვადი მასალა	3/75	15	4	64	11	60	2	2	
სამაგისტრო პროექტი - ,,მამაკაცის საკოლექციო ხაზი '' (თეორია-პრაქტიკა)	3/75	15	4	64	11	60	2	2	
არქიტექტონიკა (თეორია-პრაქტიკა)	3/75	15	4	64	11	60	2	2	
სამაგისტრო პროექტი - ,,ქალის საკოლექციო ხაზი ''(თეორია-პრაქტიკა)	3/75	15	4	64	11	60	2	2	
ფეხსაცმელის ტექნოლოგია	3/75	15	4	64	11	60	2	2	
სამაგისტრო პროექტი - ეთიკური მოდის ასპექტები ეკო და მდგრადი განვითარებისთვის (თეორია-პრაქტიკა)	3/75	15	4	64	11	60	2	2	
ეკოქსოვილის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება	3/75	15	4	64	11	60	2	2	
სამაგისტრო პროექტი - ავანგარდული მოდა (თეორია-პრაქტიკა)	3/75	15	4	64	11	60	2	2	
მოცულობით ფორმების პროექტირება (3D)	3/75	15	4	64	11	60	2	2	
საკოლექციო ხაზის პროექტირება I - კონსტრუირება (თარგის მიღების	8/200	15	10	154	46	152	2	2	

მეთოდები) სამკერვალო ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება									
საკოლექციო ხაზის პროექტირება II - კონსტრუირება) სამკერვალო ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება	8/200	15	10	154	46	152	2	2	
საკოლექციო ხაზის პროექტირება III - კონსტრუირება (არატრადიციული თარგი) სამკერვალო ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება	8/200	15	10	154	46	152	2	2	
სამაგისტრო ნაშრომი	20/500	15							
სულ	**80**								
საუნივერსიტეტო დისციპლინები									
პედაგოგიკა	3/75	15							
მენეჯმენტი	3/75	15							
უცხო ენა I	3/75	15							
უცხო ენა II	3/75	15							
სულ	**12**								
არჩევითი დისციპლინები **სპეციალობის არჩევითი დისციპლინები**									
საპროექტო გრაფიკა : მოდის ილუსტრაცია	3/75	15	4	64	11	60	2	2	
საპროექტო გრაფიკა : სარეკლმო გრაფიკა მოდის დიზაინში	3/75	15	4	64	11	60	2	2	
მოდის მარკეტინგი	2/50	15	2	34	16	30	2	2	
მოდის თეორიის საკითხები	2/50	15	2	34	16	30	2	2	
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია	2/75	15	2	34	16	30	2	2	
ვიზუალური მერჩენდაიზინგი/,,მაღაზიის ფანჯარა''	2/75	15	2	34	16	30	2	2	
კულტურის მენეჯმენტი	2/75	15	2	34	16	30	2	2	
ბიზნეს-პროექტების მართვა	2/50	15	2	34	16	30	2	2	
კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმები და ახალი გამოწვევები	2/50	15	2	34	16	30	2	2	
სულ	**28**								

- **სასწავლო რუქა**

საგნების დასახელება	**კურსზე დაშვების წინაპირობა**	I	II	III	IV	EGTS
საუნივერსიტეტო დისციპლინები		**6**	**6**			**12**
პედაგოგიკა	წინაპირობის გარეშე	3				
უცხო ენა I	წინაპირობის გარეშე	3				
მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე		3			
უცხო ენა II	უცხო ენა I		3			
არჩევითი დისციპლინები, სპეციალობის არჩევითი დისციპლინები		**10**	**10**	**8**		**28**
საპროექტო გრაფიკა : მოდის ილუსტრაცია	წინაპირობის გარეშე					
საპროექტო გრაფიკა : სარეკლმო გრაფიკა მოდის დიზაინში	წინაპირობის გარეშე					
მოდის მარკეტინგი	წინაპირობის გარეშე					
მოდის თეორიის საკითხები	წინაპირობის გარეშე					
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია	წინაპირობის გარეშე					
ვიზუალური მერჩენდაიზინგი/,,მაღაზიის ფანჯარა''	წინაპირობის გარეშე					
კულტურის მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე					
ბიზნეს-პროექტების მართვა	წინაპირობის გარეშე					
კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმები და ახალი გამოწვევები	წინაპირობის გარეშე					
სპეციალობის დისციპლინები		**20**	**20**	**20**	**20**	**80**
სამაგისტრო პროექტი ,,ნაქსოვი ტანსაცმლის დიზაინი'' (თეორია-პრაქტიკა)	წინაპირობის გარეშე	3				
ქსოვის ტექნოლოგიები - ექსპერიმენტული ქსოვა	წინაპირობის გარეშე	3				
სამაგისტრო პროექტი ,,უქსოვადი მასალის ტანსაცმლის დიზაინი'' (თეორია-პრაქტიკა)	წინაპირობის გარეშე	3				
სპეც. აქსესუარების დიზაინ-პროექტირება (უქსოვადი მასალა)	წინაპირობის გარეშე	3				
საკოლექციო ხაზის პროექტირება-კონსტრუირება სამკერვალო ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება I	წინაპირობის გარეშე	8				
სამაგისტრო პროექტი (თეორია-პრაქტიკა) - მამაკაცის საკოლექციო ხაზი	წინაპირობის გარეშე		3			
ფეხსაცმლის ტექნოლოგიები	წინაპირობის გარეშე		3			

სამაგისტრო პროექტი - ,,ქალის საკოლექციო ხაზი '' (თეორია-პრაქტიკა)	წინაპირობის გარეშე		3			
არქიტექტონიკა	წინაპირობის გარეშე		3			
საკოლექციო ხაზის პროექტირება-კონსტრუირება, სამკერვალო ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება II	საკოლექციო ხაზის პროექტირება-კონსტრუირება სამკერვალო ტექნოლოგია/მასალაში შესრულება I		8			
სამაგისტრო პროექტი - ეთიკური მოდის ასპექტები (თეორია-პრაქტიკა)	წინაპირობის გარეშე			3		
ეკოქსოვილის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება - ეკო პრინტი	წინაპირობის გარეშე			3		
სამაგისტრო პროექტი - კონცეპტუალური მოდა (თეორია-პრაქტიკა)	წინაპირობის გარეშე			3		
მოცულობითი ფორმების პროექტირება (3D)	წინაპირობის გარეშე			3		
საკოლექციო ხაზის პროექტირება-კონსტრუირება სამკერვალო ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება III	საკოლექციო ხაზის პროექტირება-კონსტრუირება, სამკერვალო ტექნოლოგია/მასალაში შესრულება II			8		
სამაგისტრო ნაშრომი	საკოლექციო ხაზის პროექტირება-კონსტრუირება სამკერვალო ტექნოლოგია მასალაში შესრულება III				20	
სულ		**36**	**36**	**28**	**20**	**120**

- **პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი :**

პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს ახორციელებენ - თსსა აკადემიური პერსონალი და სპეციალურად მოწვეული პედაგოგები

№	პედაგოგი სახელი/გვარი	სტატუსი	დისციპლინა
1	ნინო მგალობლიშვილი	კულტურის კვლევების დოქტორი, პროფესორი	• სამაგისტრო პროექტი - ავანგარდული მოდა • სამაგისტრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი (თეორია/პრაქტიკა) • მოდის თეორიის საკითხები • ვიზუალური მერჩენდაიზინგი (ვიტრინისტიკა) • მოცულობითი ფორმების პროექტირება (3D)
2	ეკატერინე ჩხუტიშვილი	ასოცირებული პროფესორი	• სამაგისტრო პროექტი - ეთიკური მოდის ასპექტები • სამაგისტრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი (თეორია/პრაქტიკა)
3	ნინო ჯაში	ასოცირებული პროფესორი	• სამაგისტრო პროექტი - ,,მამაკაცის საკოლექციო ხაზი '' • სამაგისტრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი (თეორია/პრაქტიკა)

4	თეა ბოდოკია	ასოცირებული პროფესორი	• სამაგისტრო პროექტი ,,ნაქსოვი ტანსაცმლის დიზაინი'' • სამაგისტრო ნაშრომი -საკოლექციო ხაზი (თეორია/პრაქტიკა)
5	ანა ჩაკვეტაძე	ასოცირებული პროფესორი	• სამაგისტრო პროექტი ,,უქსოვადი მასალის ტანსაცმლის დიზაინი'' • სამაგისტრო ნაშრომი : ექსპერიმენტულ ქსოვილის ტექნოლოგია
6	რუსუდან იოსელიანი	ასოცირებული პროფესორი	• სამაგისტრო პროექტი - ,,ქალის საკოლექციო ხაზი '' • სამაგისტრო ნაშრომი - საკოლექციო ხაზი (თეორია/პრაქტიკა)
7	ია ფიცხელაური-გომიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	• საპროექტო გრაფიკა : მოდის ილუსტრაცია
8	მარიამ ბერიძე	ასოცირებული პროფესორი	• ეკოქსოვილის ტექნოლოგია/მასალაში შესრულება • სამაგისტრო ნაშრომი : ექსპერიმენტულ ქსოვილის ტექნოლოგია
9	ლეილა ენუქიძე	მოწვეული პედაგოგი	• საკოლექციო ხაზის პროექტირება I - კონსტრუირება სამკერვალოტექნოლოგია/ მასალაში შესრულება • საკოლექციო ხაზის პროექტირება II - კონსტრუირება სამკერვალოტექნოლოგია/ მასალაში შესრულება • საკოლექციო ხაზის პროექტირება III - კონსტრუირება სამკერვალოტექნოლოგია/ მასალაში შესრულება • სამაგისტრო ნაშრომი : საკოლექციო ხაზის პროექტირება-კონსტრუირება სამკერვალო ტექნოლოგია/ მასალაში შესრულება
10	ლელა კობერიძე	მოწვეული პედაგოგი	• ფეხსაცმელისა და აქსესუარების ტექნოლოგია • სამაგისტრო ნაშრომი : სპეც. აქსესუარებისა და ფეხსაცმლის პროექტირება
11	ეკატერინე დარჩია	მოწვეული პედაგოგი	• ქსოვის ტექნოლოგიები (ექსპერიმენტული ქსოვა) • სამაგისტრო ნაშრომი : ექსპერიმენტულ ქსოვილის ტექნოლოგია
12	თეონა გაგლოევა	მოწვეული პედაგოგი მოდის სარეკლამო გრაფიკული დიზაინერ ილუსტრატორი, "DFOC", "GATEO " დამფუძნებელი, მხატვრ დიზაინერი	• საპროექტო გრაფიკა : ციფრული პორტფოლიო (არჩევითი კურსი) • სარეკლამო გრაფიკა მოდის დიზაინში (არჩევითი კურსი) • არქიტეტქტონიკა
13	ოთარ ქირია	მოწვეული პედაგოგი, ეკონომისტი. შპს საბაჰ გრუპჯორჯია - დირექტორი; შპს იორკ ჰოლდინგ გრუპი - მარკეტინგის უფროსი ოფიცერი	• მოდის მარკეტინგი (არჩევითი კურსი)

14	ნათია პავლიაშვილი	მოწვეული პედაგოგი, კომუნიკაციათმცოდნე,საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კომუნიკაციის სამსახურის უფროსი	• ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები (არჩევითი კურსი) • ციფრული მედია და კომუნიკაციები (არჩევითი კურსი)
14	თეონა ჯაყელი	მოწვეული პედაგოგი, კულტურისა და განათლების მენეჯერი	• კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმები და ახალი გამოწვევები (არჩევითი კურსი)
15	ირინე საგანელიძე	მოწვეული პედაგოგი, კულტურის კვლევათადოქტორი/თსუ	• კულტურის მენეჯმენტი (არჩევითი კურსი) • ბიზნეს-პროექტების მართვა (არჩევითი კურსი)
16	ანა მგალობლიშვილი	მოწვეული პედაგოგი, ხელოვნების ისტორიის დოქტორი	• ხელოვნების კვლევა • პერფომანსის ხელოვნება (ფუტურიზმიდან დღემდე)/ (არჩევითი კურსი)